საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის განხორციელების

ა ნ გ ა რ ი შ ი

2010

2009 წლის 24 ნოემბერს საქართველოს პრემიერ მინისტრის 2009 წლის 24 ნოემბრის №342 ბრძანებით დამტკიცდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (პროფესიული განათლების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისათვის). აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებას წინ უსწრებდა საჯარო განხილვები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან, პროფესიულ კავშირებთან, პროფესიული ასოციაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საქართველოს მთავრობამ პროფესიული განათლების რეფორმის მიზნად დასახა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ახალი პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, თავსებადი იქნება საერთო ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან და ხელს შეუწყობს პიროვნების თვითრეალიზაციას.

პროფესიული განათლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის საფუძველზე მომზადდა ევროკავშირის ,,პროფესიული განათლების სექტორის მხარდაჭერის პროგრამა". განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის საქმიანობა პროფესიული განათლების მიმართულებით წარიმართა სწორედ აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად. ამავე დროს, სამინისტრომ დაიწყო 2005-2009 წწ-ში პროფესიული განათლების რეფორმის მიმართულებით განხორციელებული პროგრამების შეფასება, კანონმდებლობის ანალიზი და დასახული მიზნების მისაღწევად უფრო ქმედითი საშუალებების ძიება. შედეგად, 2010 წლის სექტემბრიდან ცვლილებები შევიდა ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში, რითაც სისტემის რეფორმირების პროცესი გადავიდა სრულიად ახალ ფაზაში.

წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში სამინისტროს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ პარტნიორი ორგანიზაციები (INWENT, USAID, UNDP, IOM, GTZ, NRC, და სხვ.), მათი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა არაერთი პრიორიტეტული პროექტი (რეკომენდაციები პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესში, კონკრეტული პროგრამები პროფესიულ კოლეჯებში), ერთობლივად იგეგმება 2011 წლის აქტივობები, რაც იმის დასტურია რომ პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში აღნიშნული ორგანიზაციების მონაწილეობა არა ფრაგმენტული, არამედ გრძელვადიანი, მიზნობრივი და შედეგზე ორიენტირებულია.

1. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

ხარისხიანი პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში საქართველო ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო და ეროვნულ გამოცდილებას.

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთ-ერთი ამოცანაა მისი ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შემდგომი ინტეგრაცია. აქედან გამომდინარე, არსებული სტრატეგია მხარს უჭერს პროფესიული განათლებისა ხარისხის უზრუნველყოფის ევროპაში აპრობირებული მექანიზმების (მაგალითად, ,,ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს (EQARF)”) დანერგვას, რომელიც ადამიანური რესურსებისა და ადამიანური კაპიტალის მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს.

1.1. საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ”

2010 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა **საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ”**, რომელიც ითვალისწინებს განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას შიდა და გარე მექანიზმების საშუალებით. გარე მექანიზმებია ავტორიზაცია და აკრედიტაცია, ხოლო შიდა მექანიზმები ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტორიზაცია არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების (საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი) დაკმაყოფილება. 2013 წლამდე ყველა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც აქვს შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია, ითვლება ავტორიზებულად. ამ დრომდე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა მოემზადონ ავტორიზაციისთვის: განავითარონ ადამიანური და მატერიალური რესურსები, შეიმუშავონ ახალი საგანმანათლებლო პროგრამები და სხვ.

ავტორიზაციის პროცესის პირველი საფეხურია სტატუსის მაძიებლის მიერ ჩატარებული თვითშეფასება. **თვითშეფასების კითხვარი** უკვე მომზადდა სსიპ განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. 2011 წელს დაგეგმილია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების **თვითშეფასება** აღნიშნული კითხვარის მეშვეობით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცდა **საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება** და დადგინდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასური.

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, აკრედიტაციის მიზანია აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განსაზღვრა, განათლების ხარისხის ასამაღლებლად საგანმანათლებლო დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა. აკრედიტაციის სტანდარტებია საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა; მოსწავლეების/სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა **საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების პროექტი,** რომელიც საჯარო განხილვის პროცესშია და გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე www.nea.ge.

1.2. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩამოყალიბება

პროფესიულ განათლებაში სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მუდმივი ზრდისთვის საჭიროა როგორც ხარისხის კონტროლის, ასევე ხარისხის განვითარების მექანიზმების არსებობა. ხარისხის განვითარების სისტემის ჩამოყალიბებაზე მუშაობა წარმოადგენდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის მთავარ პრიორიტეტს. ამ პრიორიტეტის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი**. ცენტრი საკუთარი კომ-პეტენციის ფარგლებში:

ა) ხელს უწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, რა მიზნითაც შეიმუშავებს რეკომენდაციებს;

ბ) ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას;

გ) ახორციელებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას, მათ შორის, ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებას;

დ) ახორციელებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას;

ე) აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს და სხვ.

1.3. დარგობრივი საბჭოების მუშაობის გაგრძელება და ხელშეწყობა

ხარისხის განვითარებისა და კვალიფიკაციის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, 2009 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ჩამოყალიბდა დარგობრივი საბჭოები დამსაქმებლების, პროფესიული გაერთიანებების (ასოციაციები, კავშირები და სხვ.), სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლების, უმაღლესი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეობით. 2010 წელს დარგობრივი საბჭოების მუშაობა გაგრძელდა სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. დარგობრივი საბჭოების აქტიური მონაწილეობით მომზადდა პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, კვალიფიკაციების ნუსხა (კლასიფიკატორი) და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

1.4. პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო

პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოზე მუშაობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო 2008 წელს. პროექტის მომზადებაში სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად ჩართულები იყვნენ დარგობრივი საბჭოები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. 2010 წელს დაინტერესებულ მხარეთა სამიტებისა და საჯარო განხილვების შემდეგ, აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა დასკვნით ფაზაში შევიდა და მოხდა მისი ინტეგრირება ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან. "ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო" მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს: სტუდენტზე, მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბებას, საქართველოში მიღებული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას, სტუდენტებისა და მოსწავლეების მობილობის პროცესს, სასწავლო პროგრამების შექმნის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. "ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს" მიღებით დაინერგება მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის სისტემა, რასაც ითვალისწინებს სიცოცხლის მანძილზე სწავლის ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო **(The European Qualifications Framework for Lifelong Learning - LLL)**. ეს სისტემა რვადონიანია და მოიცავს ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას. ამ გზით

გამარტივდება საქართველოში მიღებული განათლების აღიარება საერთაშორისო დონეზე, რაც განათლების რეფორმის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

საქართველოს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო 5 დონიანია და თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა პროფესიული დიპლომი. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება.

კონკრეტული პროფესიული განათლების საფეხურები განისაზღვრება პროფესიული სტანდარტით, რომელიც მოიცავს პროფესიული განათლების საფეხურებიდან ერთ-ერთს, რამდენიმეს ან ყველას. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მისი ცალკეული კომპონენტები გაანგარიშებული უნდა იქნეს კრედიტებით.

კვალიფიკაციების ხუთი საფეხურის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონე განისაზღვრება პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერით, რომელიც მოიცავს ექვს კატეგორიას:

ა) ცოდნა და გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

გ) დასკვნის უნარი;

დ) კომუნიკაციის უნარი;

ე) სწავლის უნარი;

ვ) ღირებულებები.

კვალიფიკაციის ყოველი შემდგომი საფეხური მოიცავს წინა საფეხურის სწავლის შედეგებს და გამოიხატება უფრო მაღალი პროფესიული ცოდნით, გაზრდილი უნარებითა და ღირებულებებით.

1.5. პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხა - კლასიფიკატორი

პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხაზე მუშაობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო 2009 წელს და ამ მიზნით ჩამოაყალიბა დარგობრივი საბჭოები. 2010 წელს აღნიშნული მიმართულებით მუშაობა გაგრძელდა სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და შეიქმნა დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული საგანმანათლებლო მიმართულებები, დარგები/სპეციალობები, ქვედარგები/სპეციალიზაციები და პროფესიები. აღნიშნული კლასიფიკატორი დამტკიცდება მიმდინარე წელს.

1.6. ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული სტანდარტების შექმნა

,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად პროფესიულ სტანდარტებზე მუშაობა წარმოადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის კომპეტენციას. სტანდარტების შემუშავების პროცესში ჩართულები არიან დარგობრივი საბჭოები, ცალკეული დარგობრივი ექსპერტები და სხვა დაინტერესებული მხარეები. მიმდინარე წელს მომზადდა 80-მდე პროფესიული სტანდარტის პროექტი. აღნიშნული პროექტები გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე (www.nea.ge), მიმდინარეობს საჯარო განხილვები და დისკუსიები. პროფესიული სტანდარტები დამტკიცდება კვალიფიკაციათა ჩარჩოს დამტკიცების შემდეგ.

1.7. ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და სტუდენტზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ხელშეწყობა

2011 წლიდან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიგეგმება ახალი საგანმანათლებლო პროგრამები. მიმდინარე წელს შემუშავდა **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი** და **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინის სარეკომენდაციო ფორმა**. აღნიშნული ფორმის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მომზადდეს პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, განისაზღვროს სასწავლო და პრაქტიკის კომპონენტისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა (პროცენტრული თანაფარდობა განისაზღვრება სტანდარტის მიხედვით), პროგრამის მიზანში განისაზღვროს პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონე, ხოლო სწავლის შედეგები აღიწეროს "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს კონკრეტული საფეხურისა და დარგობრივი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სასწავლო გეგმის, პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, ცოდნის შეფასების, სწავლების მეთოდების, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესახებ.

1.8. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარება

მიმდინარე წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ინფრასტრუქტურის განახლებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს შექმნის მიზნით, მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია პროფესიულ კოლეჯებში:

განხორციელდა **კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯის** საერთო საცხოვრებლისა და სასტუმროს სრული რეაბილიტაცია (5 სართულიანი კორპუსი). შეძენილია შესაბამისი ავეჯი, ელექტროტექნიკა, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა საჭირო ინვენტარი. აღნიშნულ კოლეჯთან წარმატებით თანამშრომლობს გაეროს განვითარების პროგრამა, რომლის მხარდაჭერითაც სასწავლებლის ტერიტორიაზე გაშენდა მაყვლისა და ჟოლოს ბაღი, გაკეთდა სანერგე, შეძენილ იქნა ხილის შესანახი კამერა-მაცივარი და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, აშენდა ,,ღვინის სახლი";

მიმდინარეობს და წლის ბოლოს დასრულდება **ფოთის პროფესიული კოლეჯის** სასწავლო კორპუსის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ეზოს შემოღობვა და კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნების მოწყობა;

დაწყებულია **ქობულეთის** პროფესიული კოლეჯის საერთო საცხოვრებლისა და სასტუმროს რეაბილიტაციის პროცესი;

თბილისის რამდენიმე კოლეჯში გამოიცვალა სასწავლო კორპუსების სახურავები (თბილისის მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯი, თბილისის მრავალპროფილიანი პროფესიული კოლეჯი), ხოლო რეგიონების პროფესიულ კოლეჯებში - სასწავლო სახელოსნოების რემონტი და აღჭურვა (ქუთაისი, ხიდისთავი, ახალციხე);

თბილისის მრავალდარგოვან კოლეჯში გარემონტდა ხის მხატვრული დამუშავების სახელოსნო და შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა სასწავლო სამზარეულო;

მიმდინარე წელს გაგრძელდა თბილისის რეაბილიტირებული პროფესიული კოლეჯის „სპექტრის" კომპიუტერიზაცია. დამატებით შეიქმნა კომპიუტერული კლას/კაბინეტები. ასევე, USAID-ის პროფესიული განათლების პროექტის ფარგლებში, აღნიშნული კოლეჯისათვის შეძენილ იქნა მძიმე სამშენებლო ტექნიკის სიმულატორები;

გაეროს განვითარების პროგრამის, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოსა და ბათუმის მერიის მხარდაჭერით ბათუმის პროფესიულ კოლეჯში განხორციელდა სასწავლო სამზარეულოს რემონტი და საჭირო ინვენტარით აღჭურვა;

,,პროფესიული განათლების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები სსიპ შოთა მესხიას სასწავლო უნივერსიტეტში. კერძოდ, სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით

გაკეთდა პანდუსი და ტუალეტი, ხოლო უნივერსიტეტის სენაკის ფილიალში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები

1.9. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო მასალების, სახელმძღვანელოებისა და ადამიანური რესურსების განვითარება

სასწავლო მასალებისა და სახელმძღვანელოების ხარისხის გაზრდა წარმოადგენს პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას. აღნიშნული მიმართულებით 2010 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) პროფესიული განათლებისა და ტრეინინგის სისტემის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა და გამოიცა 13 დასახელების სახელმძღვანელო სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის დარგებში:

1. ელექტრომემონტაჟე;
2. ზეინკალ-სანტექნიკოსი, წყალგაყვანილობისა და წყალარინების ტექნიკოსი;
3. მებათქაშე;
4. კალატოზი;
5. რკონაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი (მებეტონე, მეარმატურე, მეყალიბე):
6. მეფილე-მომპირკეთებელი;
7. ელექტროშემდუღებელი;
8. მეცხოველე;
9. მევენახე;
10. მემინდვრე, მებოსტნე;
11. მებაღე;
12. ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი;
13. რძის გადამამუშავებელი

სახელმძღვანელობი გადაეცა ყველა სსიპ-ის ფორმის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. გარდა ამისა, აღნიშნული სახელმძღვანელობის შესაბამისად შემუშავდა და განხორციელდა მასწავლებელთა გადამზადების 13 პროგრამა (პროფესიული და დარგობრივი უნარების ასამაღლებლად). ტრენინგში ჩართული იყო 31 მასწავლებელი გაეროს განვითარების

პროგრამის პროექტში მონაწილე - კაჭრეთის, თელავის, ახალციხის, ქუთაისისა და ამბროლაურის პროფესიული კოლეჯებიდან.

USAID-ის პროფესიული განათლების პროექტის ფარგლებში შემუშავდა და დაიბეჭდა ,,კალატოზის" საგანმანათლებლო პროგრამისათვის 500 ცალი სახელმძღვანელო. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 9 დასახელების სახელმძღვანელოზე სამშენებლო პროფილის პროგრამებისთვის:

1. ელექტრიკოსი;
2. სანტექნიკოსი;
3. მეფილე;
4. შემდუღებელი;
5. მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი;
6. მღებავი;
7. მეარმატურე;
8. მებეტონე;
9. თაბაშირ-მუყაოს ტექნიკოსი.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა ,,ელექტროშედუღების" პროგრამის მასწავლებლების გადამზადება და ტრენინგები გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და დასაქმების თემებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ,,პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა ტრენინგი ინკლუზიურ განათლებაზე, რომელშიც ჩართული იყო ყველა სსიპ-ის ფორმის პროფესიული კოლეჯის 30 მასწავლებელი. ტრენინგის მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს ინკლუზიური, ინტეგრირებული და სპეციალური განათლების შესახებ, გაეცნენ ისეთ თემებს როგორებიცაა: შეზღუდული შესაძლებლობა და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პროფესიული მომზადება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი განხორციელების ეტაპები და სხვ. მასწავლებლებს საშუალება მიეცათ ემსჯელათ ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებზე საქართველოს კონტექსტში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 2009 წლიდან თანამშრომლობს გერმანული ორგანიზაცია ,,INWENT”ი. აღნიშნული ორგანიზაციის მიერ მიმდინარე წელს განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა ტრენინგი პროფესიული პედაგოგიკის საკითხებზე. ტრენინგში ჩართული იყო 58 მასწავლებელი.

2010 წელს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის სტანდარტი. გაიმართა აღნიშნული დოკუმენტის განხილვა პროფესიული კოლეჯების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. პროექტის დამტკიცების შემდეგ, სტანდარტის შესაბამისად შემუშავდება ტრენინ-გეგმები და განხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები საგნობრივი და პედაგოგიური კომპეტენციების ამაღლების მიზნით.

2. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოქალაქეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

2.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დევნილების, პატიმრების, ეთნიკური უმცირესობების, სოციალურად დაუცველების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2009 წლიდან დღემდე, პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის დოკუმენტზე დაყრდნობით ახორციელებს სახელმწიფო პროგრამებს და ითვლისწინებს დამატებით ღონისძიებებს პროფესიულ განათლებაში მოსახლეობის ისეთი ჯგუფებისათვის, როგორიცაა: იძულებით გადაადგილებული პირები – დევ-ნილები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, პატიმრები, სხვა მსჯავრდებულები, ეთნიკური უმცირესობები, სხვადასხვა კატეგორიის რისკ-ჯგუფები (მათ შორის, ქუჩის ბავშვები), სოციალურად დაუცველნი და ა.შ.

მიმდინარე წელს ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს და არასამთავრობო ორგანიზაციის „განათლება დემოკრატიისათვის“ მხარდაჭერით 8 პროფესიულ კოლეჯში (ფოთი, ქუთაისი, ქობულეთი, ხიდისთავი, თბილისის 4 პროფესიული კოლეჯი) დევნილმა მოსახლეობამ გაიარა მომზადება\გადამზადება შემდეგ პროგრამებზე: კალატოზი, გამყიდველ-კონსულტანტი, სტილისტი, მკერავ-მემანქანე, კონდიტერი, მზარეული, ბარმენი, მოლარე-ოპერატორი, მდივან-რეფერენტი, მეფრინველე-ოპერატორი, მებოცვრე, მემარცვლეობის ოსტატი, მომპირკეთებელი-მეფილე, ავტოშემკეთებელი, თექის ოსტატი. პროექტის ფარგლებში გადამზადდა 754 ბენეფიციარი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სოციალურად დაუცველმა და ასევე, სხვადასხვა სოციალური კატეგორის წარმომადგენლებმა პროფესიულ კოლეჯებში შეძლეს სახელმწიფო დაფინანსებით პროფესიული განათლების მიღება, როგორც მომზადების, ასევე გადამზადების კუთხით.

სულ უფრო იზრდება პროფესიულ კოლეჯებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა რიცხვი. ამჟამად კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯში სწავლობს და საერთო საცხოვრებელით სარგებლობს ეთნიკური უმცირესობის 42 წარმომადგენელი (ჩეჩენი, ინგილო, აზერბაიჯანელი); ასევე, ახალქალაქის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯში პროფესიულ პროგრამებზე ირიცხება 32 სტუდენტი, ხოლო ახალციხის პროფესიულ კოლეჯში - ეთნიკური უმცირესობის 48 წარმომადგენელი (სომეხი, ბერძენი, უკრაინელი, რუსი,

აზერბაიჯანელი, გერმანელი). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მრავლად არიან წარმოდგენილნი თბილისის პროფესიულ კოლეჯებშიც.

მსჯავრდადებულთა და პრობაციონერთა ინტერესების გათვალისწინებით პროფესიული პროგრამები (მკერავი, გამომჭრელ-მოდელიორი) განხორციელდა თბილისის პროფესიულ კოლეჯში „სპექტრი“. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მასში მონაწილე პირებს მიენიჭათ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები, რაც მათ სამომავლოდ დასაქმებაში დაეხმარება.

2011 წლისათვის დაგეგმილია არასრულწლოვანთა აღმზრდეობით დაწესებულებაში „პრობაციის ქვეშ მყოფ პირთა და პატიმართა რესოციალიზაციისა და საინტეგრაციო ხელშეწყობის პროექტი“, რომლის ფარგლებში უნდა ამოქმედდეს ტიხრული მინანქრის შემსწავლელი პროგრამა.

2.2. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის გაუმჯობესება;

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით რეფორმის სტრატეგია ხაზს უსვამს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საკონსულტაციო სისტემის ჩამოყალიბებას. აღნიშნული საკითხით განსაკუთრებით დაინტერესდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რაც კონკრეტული პროექტების განხორციელებით გამოიხატა. კერძოდ, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩამოყალიბდა კონსულატაციისა და დასაქმების ცენტრები. აღნიშნული ორგანიზაციის გარდა, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კომპონენტის გაძლიერების მიმართულებით მუშაობს USAID-ის პროფესიული განათლების პროექტიც.

მიმდინარე წელს გერმანული ორგანიზაცია ,,INWENT”-ის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა საქართველოში არსებული ყველა სსიპ პროფესიული კოლეჯის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების (25 სპეციალისტი) 5 დღიანი ტრენინგი.

2.3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ-გვერდების შექმნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიულმა კოლეჯმა 2009 წელს შექმნა 12 სსიპ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ–გვერდი, ხოლო დარჩენილი კოლეჯების ვებ–გვერდებზე მუშაობა დასრულდა მიმდინარე წლის ნოემბერში. გარდა ამისა, თბილსის ინფორმაციული

ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის თანამშრომლებმა უზრუნველყვეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების გადამზადება ვებ–გვერდის მართვის საკითხებში. შესაბამისად, სსიპ პროფესიული კოლეჯები თავად შეძლებენ საკუთარ ვებ–გვერდებზე ინფორმაციის განახლებასა და მართვას.

2.4. არაფორმალური განათლების აღიარების წესი და პირობები;

,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, მომზადდა არაფორმალური განათლების აღიარების წესის პროექტი. პროექტის თანახმად, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება. აღსანიშნავია, რომ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.

მიმდინარეობს არაფორმალური განათლების აღიარების წესის პროექტის საჯარო განხილვები, დოკუმენტი გამოქვეყნებულია სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე.

2.5. საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარების წესი და პირობები;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცდა ,,საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი". ამ წესის თანახმად საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებასა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას ახდენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

2.6. პროფესიული განათლების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება.

პროფესიული განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროს მმართველობითი გადაწყვეტილებების საინფორმაციო უზრუნველყოფას, სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგიის შემუშავებასა და მის გამოყენებას. ამ მიმართულებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მუშაობს „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზის შემუშავების თემატური ჯგუფი", რომელიც აერთიანებს სამინისტროს სტრუქტურული

ერთეულების, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და სსიპ პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებს.

მიმდინარეობს მუშაობა სტატისტიკური მონაცემების ბაზის სტურქტურასა და მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიაზე, რომელიც წლის ბოლოსთვის დასრულდება. მონაცემთა ბაზაში განთავსდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შემდეგი მონაცემები: მატერიალური\სასწავლო ბაზა, დაწესებულების ძირითადი საშუალებები, სტუდენტთა განთავსებისა და დასვენების შესაძლებლობები, საგანმანათლებლო პროგრამები, საკვალიფიკაციო გამოცდები, სტუდენტთა ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები, სტუდენტის წინმსწრები განათლება და კვალიფიკაცია, სტუდენტების ჩართულობა პროფესიულ პროგრამებში, პროგრამის მიტოვება, უცხო ენების სწავლება, სწავლის დასრულება, მონაცემები სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ და ა.შ.

2.7. სახელმწიფო პროგრამა „პროფესიული განათლება დასაქმებისათვის".

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 მარტის №113 განკარგულებით დამტკიცებული „პროფესიული განათლება დასაქმებისათვის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია პროფესიული სასწავლებლების ჩამოყალიბება, შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და განვითარების პერსპექტივით. პროექტის მიზნის მისაღწევად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონება (შესაძლებელია, როგორც უძრავი, ისე მოძრავი) პირობადებულ (პროფესიული სასწავლებლის მოწყობა) საკუთრებაში გადაეცემა ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.

მიმდინარე წელს, აღნიშნული პროგრამის ხელშეწყობის მიზნით, ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტმა შეიმუშავა რეორგანიზებული/ლიკვიდირებული ცენტრების მონაცემთა ბაზა (რომელიც დაემატა წინა წლებში შემუშავებულ მონაცემთა ბაზას). მონაცემთა ბაზაში, თავმოყრილია სრული ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ: მისამართების, ქონების, ოპტიმიზაციის შედეგების, ტექნიკური მონაცემების, დევნილთა განთავსების, არსებული კონტიგენტისა და საგანმანათლებლო პროგრამების მითითებით. მომზადდა შესაბამისი ფოტო-მასალა.

ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტში სისტემატურად განიხილება აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებული საკითხები, მუშავდება შემოსული კორესპონდენციები. მიმდინარე წლის 18 ივნისს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, შუამდგომლობა გაუწია კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებას-თბილისის კერძო საერო მრავალპროფილიან საშუალო

სკოლა შპს "შოვს" ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე, ლილოს დასახლებაში მდებარე, სსიპ თბილისის პროფესიული კოლეჯის, „სპექტრის" კუთვნილი 3386,23 $მ^2$ ფართის შესყიდვასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე, ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროში მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ქონების გადაცემის თაობაზე.

3. თანამონაწილეობის პრინციპზე დამყარებული პროფესიული განათლების სისტემის მართვისა და ეფექტიანი და სამართლიანი დაფინანსების მოდელის ჩამოყალიბება

პროფესიული განათლების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს თანამონაწილეობის პრინციპზე დამყარებული პროფესიული განათლების სისტემის მართვისა და ეფექტიანი და სამართლიანი დაფინანსების მოდელის ჩამოყალიბებას, რაც გამოიხატება შემდეგი აქტივობების განხორციელებით:

3.1. ეროვნული პროფესიული საბჭოს ჩამოყალიბება და ფუნქციონირება;

პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო დაწესებულებების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო სექტორის, ასევე პროფესიული კოლეჯების კოორდინირებულ მოქმედებათა უზრუნველყოფის მიზნით, 2009 წლის დეკემბერში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით ჩამოყალიბდა ეროვნული პროფესიული საბჭო. მიმდინარე წელს მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების გამო, პრემიერ-მინისტრის №1329 განკარგულებით დამტკიცდა საბჭოს განახლებული შემადგენლობა.

2010 წელს ეროვნული პროფესიული საბჭოს მიერ განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

ა) პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს პროექტი;

ბ) პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხის პროექტი;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის პროექტი;

დ) პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების ხედვის ანალიზი;

ე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესის პროექტი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

3.2. თემატური სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება;

ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან მიმდინარე წელს ჩამოყალიბდა 7 თემატური ჯგუფი შემდეგი მიმართულებებით:

ა) კვალიფიკაციათა სისტემის ჩამოყალიბება;

ბ) ხარისხის განვითარება;

გ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;

დ) მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;

ე) დაფინანსების მოდელის ჩამოყალიბება;

ვ) სოციალური პარტნიორობის ჩამოყალიბება;

ზ)პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება.

თემატური ჯგუფები იკრიბებიან თვეში ერთხელ, შეიმუშავებენ პოლიტიკის დოკუმენტებს და ამზადებენ წინადადებებს ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომებზე განსახილველად. მიმდინარე წელს თემატური ჯგუფების აქტიური ჩართულობით მომზადდა შემდეგი დოკუმენტები: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის სტანდარტი, სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის დოკუმენტი, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხა და სხვ.

3.3. დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა და ამოქმედება.

2011 წელს დაიწყება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ახალი წესის მიხედვით დაფინანსება. დაფინანსების ახალი მოდელის ჩამოყალიბებისას სახელმწიფო ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

ა) სტუდენტის არჩევანის თავისუფლება;

ბ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ღირებულებებს შორის განსხვავებები;

გ) სოციალურად დაუცველი ჯგუფების საჭიროებები;

დ) საქართველოს ეკონომიკური (მათ შორის, რეგიონული) განვითარების პრიორიტეტები.

მიმდინარე წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მომზადდა პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი ხედვა: სახელმწიფო უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პროფესიული განათლებას მთლიანად სახელმწიფო დაფინანებით, ხოლო ყველა სხვა მსურველი გადაიხდის სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტად გამოცხადებული პროგრამის ღირებულების მხოლოდ 20%-ს. ამავე დროს, სახელმწიფო იმედს გამოთქვამს, რომ სავალდებულო

20%-ს გადაიხდიან არა პროფესიული სტუდენტები, არამედ დამკვეთი ორგანიზაციები, დამსაქმებლები.

3.4. პროფესიული განათლების სფეროსთან დაკავშირებული უწყებების ინსტიტუციური განვითარება;

2010 წელს პროფესიული განათლების სფეროში მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობას სხვასხვა ინსტიტუციები თუ სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უწყებები იღებდა. ცლილებების განხორციელება კი თავის მხრივ, ჩართული მხარეების საკოორდინაციო შეხვედრებს მოითხოვდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი სისტემატურად მართავს შეხვედრებს პროფესიულ განათლებაში ჩართულ ორგანიზაციებთან, დაინტერესებულ მხარეებთან განიხილვას აქტუალურ საკითხებს, მოლაპარაკებებს მართავს საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონკრეტული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, კოორდინაციას უწევს პროფესიულ განათლებაში ჩართული უწყებების საქმიანობას.

მიმდინარე წლის ნოემბერში ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტმა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სსიპ ორგანიზაციების მონაწილეობით გამართა ორდღიანი საინფორმაციო სემინარი საკანონმდებლო ცვლილებებისა და პროფესიული განათლების რეფორმის მიმდინარეობის შესახებ. საკანონდებლო ცვლილებებისა და ახალი გამოწვევების თემაზე ტრენინგი ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრატორებისთვისაც.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების კუთხით, 2010 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა გერმანულმა ორგანიზაცია “INWENT”-მა, რომელმაც კოლეჯების დირექტორებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის ტრენინგების ორგანიზება მენეჯმენტის საკითხებში 2 ეტაპად უზრუნველყო.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მადლობას უხდის ყველა პატნიორ ოგანიზაციას გაწული დახმარებისთვის და იმედს გამოთქვამს, რომ მომავალშიც მათი აქტიური თანადგომით გააგრძელებს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის განხორციელებას.